





კახეთის უნივერსიტეტი

№3-4 (283) 81950-18700, 2023 5040

ବାମ୍ବାଦି 1990 ମେଲି ହୋପେକଣିଙ୍କ



გეპებ! მარტლაპი! მიყვარსარ!

გვსურს, შემოგთავაზოთ გულაცილი, აუცილებელი და
სასიამოვნო ემოციებით სავსე ინტერვიუ სამახე-ჯავახე-
თის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაქტორობაზე, აროვასორ
გაკა პერიძესთან.

— მოგესალმებით, ქალბა-
ტონო მაკა. გულწრფელ მად-
ლობას მოგახსენებთ ამ შეხ-
ვედრისისთვის და უკვე კარგად
ვიცი, რაოდენ საინტერესო
საუბარი მელის ნინ. რას ნიშ-

ნავს თქვენთვის, გერქვათ
სამცხე-ჯავახეთის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტის რექტო-
რი? როგორ ემოციებთან და
განწყობასთან გაკავშირებთ
ას თანამდებო?

ლმებით. გულწრ-
მ გითხრათ, პირვე-
სებიან ამას. არ
უფი ამ კითხვაზე პა-
ან კომპლექსურია
ა, როგორც სამცხე-
სახელმწიფო უნი-
ს რეჯტორის. პირ-
ის საოცარი განცდა
ობის. ვგრძნობ, რომ
ნელობ ერთ-ერთ
ს საუნჯეს, რაც კი
ცხლები მქონია, თუ
სწინებთ იმას, რომ
ატიტუცია, სადაც 16
დან 48 წლამდე ვარ.
როის განცდა სიფრ-
ვიცი, რომ ამ უნი-
ტი მყოფ თითოეულ
ჭირდება განსაკუთ-
აპყრობა და ყუ-
ესამე გრძნობა
ესი პასუხისმგებ-
ა უკვე ვგულისხმობ
ების წინაშე პასუ-
ბას. როდესაც გა-
ბ, რომ უნივერსი-
ტევანდელობა, პერს-
ონურენციის, რე-
ა და განვითარების
დიდილად არის
უკიდებული და ერ-
ოდუნებამაც კი შე-
ასასურველი შედე-
ის, საკმაოდ სერიო-
ისმგებლობას ბა-
ლაზე მთავარი, ეს
სიყვარული.



სახელმწიფო მინისტრის 30%-ის სამცხე-ჯავახოთა

სახელმწიფო მინისტრი
თევა ახვლედიანი ორდელიანი
სამუშაო ვიზიტით სამცხე-
ჯავახეთის რეგიონს ესტუმ-
რა. ვიზიტის ფარგლებში, სამ-
ცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტში ახალგაზრ-
დებთან შეხვედრა გამართა
და სოფელ წყრუთის საპავშვი
ბაოს ესტუმრა.

გაგრძელება მე-2 გვ.



ମାଧ୍ୟମିକ ତାତୋରୁପରିବାହନ



შესველია გარე
ბავშვთა ფონდის
წარმომადგენელთან



კოვენტიული
„დალანის“ დღე
კლინიშნები 83.10



ଭାବନାଫେର
ବିପରୀକ୍ଷାବୋଦୀ - 70

ଭାବନାମ୍ବଳେଶ୍ୱର



საქართველოს ისტორიის მაციხეობა

83,9



სუპიტი კანკლიერდი საქართველო

პირველი გვერდიდან

ვიყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს, მიყვარდეს, როგორიც არის ისეთი, თავისი პრობლემებით, თავისი გამოწვევებით, თავისებურებებით, ყველა კომპლექსური კუთხით, უბრალოდ – მიყვარდეს ისეთი, როგორიც არის დავეცადო, რომ ადამიანების თანადგომით გახდეს უკეთესი.

— დიდი მადლობა წრფელი ემოციებისთვის. თითოეული ჩვენგანის ცხოვრება სავსეა დაბრკოლებებით, რომლებიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ. რა არის თქვენი, როგორც რეგტორის სტიმული სირთულეების შამს?

- როდესაც აღმოგჩნდები გარკვეული გამოწვევის ნინაშე, მაშინვე ვამბობ, არ დაგავიწყდეს, ამ უნივერსიტეტისა, პროფესორ მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით, თავისი ისტორია დაიწყო პირველი კორპუსის პირველი სართულის სამი ოთახიდან, რომელშიც იჯანის გადასახლება მოხდა.

— ნამდვილად შთამაგონებელი და
სულში ჩამწვდომია ეს სიტყვები. სამ-
ცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ნების-
მიერ სტუდენტს რომ ჰყითხონ, ქალბა-
ტონი მაკა ბერიძე არა მხოლოდ რექ-
ტორი, არამედ მათი ძვირფასი მეგობა-
რია. მეტიც, უამრავი ახალგაზრდისთ-
ვის მისაბაძი მაგალითი და რჩეული პი-
როვნება პრძანდებით. მოგვიყენით
თქვენი და ახალგაზრდების ამ საოცარ
ურთიერთობაზე. გაგვანდეთ, რა არის
ადამიანებს შორის თბილი და გამორჩე-
ული ურთიერთობის არსებობის საი-
დუმლო.

– უნდა გაგიმართლოთ. პირველი – უნდა გაგიმართლოთ მაშინ, როდესაც ხართ ახალგაზრდა. უნდა შეგხვდნენ ადამიანები, რომლებიც გასწავლიან ამ ყველაფერს. მე ყველა ჩემს პროფესორს, ყველა ჩემს ლექტორს, ყველა ჩემს თანამშრომელს დიდ მადლობას ვეტყვი. მე ვალს ვიხდი, ვალს, რომელიც დამიტოვეს ჩემმა მასწავლებლებმა სკოლასა და უნივერსიტეტიში. უნივერსიტეტში შემობიჯებისას შემხვდნენ ადამიანები, რომელთაც ახალგაზრდებთან დამოკიდებულების საოცარი მაგალითები მიჩვენეს. მე ისინი მხოლოდ სასწავლო კურსებს არ მასწავლიდნენ, მე ცხოვრებას მასწავლიდნენ... მე ვხედავდი ზრუნვას, გვერდში დგომას, გამხნევებას, არ მეძლეოდა მოღუნების საშუალება. მე მათ ვერაფრით ვეტყვი მადლობას, გარდა ერთადერთი გზისა – რაც მასწავლეს, ვისწავლო. როდესაც ახალგაზრდებთან ვსაუბრობ, ყოველთვის მათ ადგილს ჩემს თავს წარმოვიდგენ. მე ვიცსები ენერგიით სწორედ ახალგაზრდების დამოკიდებულებისგან და მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ არ დავკარგო კავშირი ახალგაზრდებთან. ხშირად, მართლა, დამებები მითენებია

იმ პრობლემებზე ფიქრით, რაც სტუ-
დენტებს გაუზიარებიათ ჩემთვის.
რთულია, მაგრამ ჩენენ შორის კედლის
აღმართვას მე ეს ურთიერთობა მირ-
ჩენია და ახალგაზრდებს მადლობას
ვუხდი გაზიარებისთვის. თუ ჩემამდე
მოიტანეს ეს პრობლემა, ესე იგი, სჯე
რათ, ესე იგი, იმედი აქვთ, ესე იგი, მე
დობიან.

— ისეთი სითბო მეღვრება გულში,
მეც იმ იღბლიან სტუდენტებს შორის
რომ ვარ, რომლებიც ჩვენს უნივერსი-
ტეტში სწავლობენ. უკვე სასწავლო
წლის დასასრულს ვუახლოვდებით, რაც
იმას ნიშნავს, სულ მალე ჩვენს დიდ
ოჯახს ახალი წევრები შეემატებიან.
როგორ შეაფასებდით სამცხე-ჯავახე-
თის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ
წელს მიმდინარე მოვლენებს? იქნებ
ვუამბოთ მომავალ სტუდენტებს, რა სი-
ახლეებს სთავაზობს მათ სამცხე-ჯავა-
ხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და
როგორი გარემო დახვდებათ აქ.

- როგორი უცხაურიც უხდა იყოს,
ყველა წელს პირველკურსელთა დახ-

ლაზე მთავარი, ახალქალაში დასრულდა მეოთხე კორპუსი, რეაბილიტირებულია, მორგებული თანამედროვე სტანდარტებს. ამ კორპუსში სტუდენტებს ვთავაზობთ პროფესიულ პროგრამებს

— უნივერსიტეტის ამჟამინდელ გამოწვევებზეც რომ გვიამძოთ რამდენიმე სიტყვით.
— ძალან სირთომზომა ამონვადაბი

— ასლიათ სერიონი თული გამოწვევები
ნინაშე დგას ამჟამად უნივერსიტეტი.
სერიონზულ გამოწვევებში ვკულისსხმო
პერსპექტივებს. პირველი და უმთავრე
სი გამოწვევა ესაა, ზოგადად, ქვეყანა
დაგეგმილი სტუდენტთა დაფინანსები
რეფორმა. ძალიან მნიშვნელოვანია,
რომ ახალმა მოდელმა უკეთესი გახა-
დოს სტუდენტთა მდგომარეობა. ახლა
მიმდინარეობს ამ დაფინანსების მოდე
ლის შემუშავება, ამ პროცესში კი უნი-
ვერსიტეტები აქტიურად ვართ ჩართუ-
ლი. ამას ვთვლი გამოწვევად, რადგან
ზუსტად ვიცი, ჩვენი ახალგაზრდების-
თვის ამას ექნება სასიცოცხლო მნიშვ-
ნელობა. მე რეგულორის ერთ-ერთ საათ
აუცილებლად მივუძღვნი სწორედ ამ

გეპებ! მარილები მიყვარხეთ...



კედრა სხვადასხვაგვარია. პირველკუნ
სელთა მოლოდინი იმდენად დიდია, მა
თი განცდები და იმედები უნივერსიტეტ
ტის მიმართ ისეთი განსაკუთრებულია
რომ რთულია, ისინი სრულად გაუმარ
თლო, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელი
ბა აქვს, თუ როგორ დაეხვდებით. აქვე
გაგიმზელთ ერთ ფაქტსაც, ყველა წელ
დახვედრის ღონისძიება სხვადასხვაგ-
ვარი გამოიდის. იცით, რატო? იმიტომ
რომ აქ დამხვედრი სტუდენტები, მათ
ინიციატივები არიან სხვადასხვაგვარი.
როდესაც აქ დამხვედრი სტუდენტები
მეგზურები ხდებიან ახალბედებისა, ან
დროს ყოველივეს მეტი მაღლი და ხიბ-
ლი აქვს. აქ დამხვედრი სტუდენტების
ყველა კარგ ინიციატივას ვეჭიდები. ჩე-
მი მიზანია, ყველაფერში დაეხვებარო.
მათ აუცილებლად ექნებათ საორიენ-
ტაციო კვირეულა, კულტურული ღო-
ნისძიება საგანგებოდ მათთვის, ვფიქ-
რობთ, თეატროთან ვითანამშრომლებთ
წლების განმავლობაში უამრავ გამორ
ჩეულ ღონისძიებას გეგმავს უნივერსი-
ტეტი მათთვის. როგორი იქნება? რო-
გორსაც იტყვიან სტუდენტები. სასწავ-
ლო წელს ვასრულებთ და მსურს, დაუ-
ვიწყარი იყოს წელს კურსდამთავრებუ-
ლებისთვისაც ეს წუთება. ორივე ღო-
ნისძიება, როგორ შეეხვდებით და რო-
გორ გავაცილებთ სტუდენტებს, მსურ-
სავსე იყოს სიყვარულითა და ღიაობით
ჩვენთვის ძალიან სერიოზულია სტუ-
დენტური ინიციატივები.

საკითხს, რათა ვიცოდეთ, რას ფიქრობენ სტუდენტები ამასთან დაკავშირებით.

მეორე გამოწვევა ეს არის ინტერნაციონალური გულისხმობების კონცენტრაცია. ეს გულისხმობებს – რა შეიძლება მეტი სტუდენტის ჩართული ბას გაცვლით პროგრამაში და ეს, როგორც რეგიონის უნივერსიტეტის სთვის გარკვეულად რთულდება, რადგან ერთია ინგლისური ენის სწავლების დონე მეორე – სტუდენტების შესაძლებლობა და სურვილი. ვითვალისწინებთ და გვესმის სტუდენტთა გარკვეული წინაღობები, მაგალითად, Erasmus-ის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები 6 თვეინა, რაც ძალიან სასიხარულოა, თუმცა, არსებობენ სტუდენტები რომლებიც მუშაობენ და აი, ეს ექვსთვიანი წყვეტა სამუშაოსთან, მათი აზრით, მომავლისთვის გადამწყვეტი იქნება, ანუ უკვე დასახული აქვთ მიზნები, რომლებიც ეყრდნობა მათ რეალობას. თუმცა, ინტერნაციონალური გულისხმობების აუცილებელია. ვცდილობთ, ინგლისურენოვანმა პროგრამება მოგვცეს საშუალება, მოვინგიორთ უცხოელი პროფესიონალური გულისხმობები და უკვე აქ ჰქონდეთ ჩვენს სტუდენტებს ახალი შესაძლებლობები.

მესამე პრობლემა, ეს არის ინფრასტუქტურული თემები. ყოველდღიური ცვლილება სჭირდება მასა. ბუნებრივია, რაღაც მოსწონდათ სტუდენტებს, თუმცა, დღეს შეცვლის საჭიროება დგას. მეჩემს უდიდეს გამონვევად მივიჩნევ ახალციხეში საერთო საცხოვრებლის არარსებობას. იცით, არასერიოზულად მიმაჩნია სერიოზულ განვითარებაზე ფიქრი, როდესაც სტუდენტს ნახევარი დღე აქვს უნივერსიტეტში გასატარებლად, რადგან დამოკიდებულია მისი დრო ტრანსპორტზე, გათვლილი აქვს ყველა წუთი წინასწარ და მას არ ეძლევ საშუალება, რომ სრულფასოვნად შეიგრძნოს სტუდენტობის ხიბლი და იმდენ დრო გაატაროს უნივერსიტეტში, რამ-

დენიც მას სჭირდება. არადა, ჩვენ შეგ-
ვიძლია სტუდენტური წლები გავატა-
როთ ბევრად უფრო საინტერესოდ.
ლექციების შემდეგ უამრავი ღონისძიება
შეიძლება დაიგეგმოს, თუმცა, იძულე-
ბულნი ვართ, სალექციო პერიოდით შე-
მოვიფარგლოთ, რამეთუ სტუდენტების
მთელი დღით ჩაითვა საუნივერსიტეტო
ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ამ კონკრე-
ტული მიზეზის გამო, ვერ ხერხდება.

— დიახ, სტუდენტები ხშირად საუბრობენ ამ სირთულეზე, თუმცა, ყოველ-თვის იმედად გვესახებით თქვენ და ჩვენი უნივერსიტეტი. მოგვესტნებათ, ახლოვდება ერთიანი ეროვნული გა-მოცდები და ყველა აბიტურიენტის ფიქრია, როგორ აირჩიოს სწორად სა-მომავლო პროფესია, რომელ ფაქულ-ტეტზე სურთ ჩაბარება. რას ურჩევდით ამ ახალგაზრდებს? რა კონკრეტული ფაქტორები უზღავთვალსწინობაზე-მოთ აღნიშნულის გადასახვეტად?

– ურთულესი რაბ მკიოხეთ. ამ კითხ-
ვის ერთი, სრულფასოვანი ჰასუხი არ
არსებობს. განათლება სჭირდება ადა-
მიანს ნარმატებისთვის. ყოველგვარი
გადაჭარბების გარეშე, მსურს აღვნიშ-
ნო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტი არის გარემო, სა-
დაც ნებისმიერ სტუდენტს ეძლევა
თყითრეალიზაციის საშუალება. ეს
არის ადგილი, სადაც შენ შეძლებ საკუ-
თარი თავის გამოხატვას. ამიტომ, რო-
დესაც უქმდება უნივერსიტეტს, პირველ
რიგში, უნდა იფიქრო, იქ იპოვო თუ არა
შენს ადგილს? რას ნიშნავს ეს? დარწ-
მუნებული უნდა იყო, რომ იტყვი – მო-
გისმენებ, რომ დაგჭირდება – ხელს გა-
მოგინვდიან. მხოლოდ სასწავლო არა,
საკომუნიკაციო და საურთიერთობო
გარემოც იქნება შესაფერისი.

ურთიერთობების კულტურას უდიდეს მნიშვნელობას ვანიქებ, ამიტომ თამამად ვამბობ, რომ ვინც აირჩევს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აუცილებლად ჰქონდეს მოლოდინი, რომ მას მოუსმენს ყველა. მოუსმენებ მაშინ, როდესაც მას სჭირდება. მოუსმენებ ისეთს, როგორიც არის და ეცდებიან, რომ მასთან ერთად გაიარონ გზა მომავლისკენ. მეორე და მნიშვნელოვანი – ადამიანის სიყვარული პროფესიის მიმართ. ეს გადამწყვეტია. იგი უნდა გამოხატავდეს შენს შინაგან მეს. საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ ორი რამ: მინდა? შემიძლია? შეიძლება გვსურს, თუმცა, არ შეგვიძლია, რადგან ჩვენი პიროვნება, სხვა ამპლუაში, უკეთ ერგებოდეს განვითარებას. გადაუჭარბებლად მსურს ვუთხრა აბიტურიენტებს, თუ იქნებით თქვენი საქმის პროფესიონალები, აუცილებლად საჭირო ხართ იმ საქმეში. იმის თქმა მსურს, რომ კარგი სპეციალისტი ყველგან სჭირდებათ, კარგი კი ვერ გახდები, თუ არ ირჩევ გულითა და შესაძლებლობებით. მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი, ეს არის – რა შესაძლებლობებს აძლევს არჩეული უნივერსიტეტი დასაქმებისას, რადგან დღეს უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება, რომ საბოლოო ჯამში დაგასაქმოთ და აქაც უნდა ვუთხრა აბიტურიენტებს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი თითქმის ყველა ინსტიტუციასთან თანამშრომლობს. მადლობა ჩვენს პარტნიორებს. ჩვენ ერთად ვფიქრობთ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობაზე. ფაქტობრივად, სწორი არჩევნით ერთდროულად ურთიერთობებსაც ირჩევ, პროფესიასაც და, გარკვეულწილად, მომავალი კარიერის პერსპექტივასაც. აქვე გავამხნევებ აბიტურიენტებს და ვეტყვი, რომ თუ კი მიხვდებით, პირველ წელს რომ შეგვმალოთ, ეს ის არაა, რაც გსურდათ, არ იდარდოთ! შიდა და გარე მობილობები საშუალებას გაძლევთ, იპოვოთ თქვენი საოცნებო ადგილი. გვინათ, რომ ეს არის თქვენი პროფესია? არ თქვათ უარი, სცადეთ, ჩაბარეთ და თუ გაგიცრუვდათ იმედი, არ ჩაიქნიოთ ხელი! გა-

მე-3 გვერდიდან

რაც გსურთ. ეს საკუთარი თავის აღმო-
ჩენაა. ნუ შეგეშინდებათ!

— თქვენი სტუდენტური წლებიც რომ
გაფიქსიროთ. გვიამძეთ თქვენთვის ყვე-
ლაზე გამორჩეული და დასამახსოვრე-
ბელი თავგადასავლის შესახებ სტუ-
დენტის ამჰლუაში.

– ჩემთვის ძალიან საინტერესოა და
სასიამოვნო, ვუპატხო ამ კითხვას. უამ-
რავი საუკეთესო ისტორია მახსენდება. ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ქვეყანა თუ
იქცეოდა, შენ რა გიხაროდათ. ტკბილ-
მნარეა ჩემი სტუდენტური მოგონებები
იმიტომ, რომ გავხდი სტუდენტი მაშინ,
როდესაც ჩვენს სამშობლოს უმიმრესი
პერიოდი ჰქონდა. თუმცა, როგორც
ჩანს, ამ ტკივილიან პერიოდებს ახლავს
თავისი სხვა სულიერება. დიახ, უნივერ-
სიტეტში იყო უდიდესი სულიერება, მი-
უხდავად იმისა, რომ გვციოდა, გვშიო-
და, სინათლეც კი მშვიათად გვქონდა.

კუნძული ცხოვრობდით ძალიან მდიდარი სტუდენტური ცხოვრებით, სანთლის შუქზეც კი ჩაგვიტარებია ღონისძიებები. ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესი და დასამახსოვრებელი ისტორია სტუდენტური ცხოვრებიდან უღერს ასე: გამორჩეული პოეტის, ქალბატონ მარინე ცვეტავას შემოქმედებით საღამოს ვაწყობდით უნივერსიტეტის სააქტორ დარბაზში და მე ვთამაშობდი მარინა ცვეტავას როლს. ძალიან ვდელავდო. ჩენი ლექტორი, ქალბატონი მეგი, ბუნებრივია, ჩართული იყო ამ სამზადისში და ვიდრე ღონისძიება დაინტებოდა, ჩემთან შემოვიდა და მაჩუქა ამ პოეტის ლექსების დიდი კრებული. თან ულამაზესი სიტყვები ნაანერა. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მეც უბედინერესი ვიყავი. გავიდა ერთი კვირა. დეკანატში დამიბარეს. იქ სხვა ლექტორი დამხვდა და მეუბნება, რომ მარინე ცვეტავას ლექსების კრებული მისა და აუცილებლად უნდა მივტან. მე ამოვდერლე, რომ ქალბატონმა მეგიმ მაჩუქა... მან მიპასუხა, რომ ეს წარმოუდგენელი იყო, მას ეს წიგნი ისე უყვარდა, ვერ აჩუქებდა სხვას. წავედი სახლში. ეს უძვირფასესი წიგნი მოვიტანე და დავტოვე დეკანატში. ჯერ კიდევ ამ წიგნთან დამშვიდობების ემოციებს ვუმკლავდები და... მასხსოვს, ვზივარ ლექციაზე, იღება კარი, შემოდის ის ქალბატონი, ვისაც წიგნი მივუტანე. მთელი ჯგუფის წინაშე მითხვა, რომ მას ეგონა, ქალბატონმა მეგიმ მათხოვა ეს წიგნი ღონისძიებისთვის მზადებისას და მე მივითვისე... ბოლიშს ვიხდი, მაპატიერ. იცით, რა განცდა მქონდა? ორჯერ მაჩუქა ორმა ადამიანმა ეს წიგნი. აი, ასეთი ურთიერთობებით ვიზრდებოდი და მე მაქვს სულ ის განცდა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს, როდესაც მეტყვიან - დამიჯერეთ. ასეთი თბილი, სიყვარულით სავსე უამრავი მოგონება მაქვს.

ჩვენ ახალციხეში ვცხოვრობდით.
სტუდენტები ახალციხეში სხვა ადგი-
ლებიდან იყვნენ ჩამოსულები. მაშინ,
როდესაც ტალიონებით უნდა აგველო
ნახევარი პური, ბატონმა მერაბმა უნი-
ვერსიტეტში სტუდენტებისთვის მოა-
ტანინა პური. მთელ ქალაქს არ ჰქონდა
გათბობა, სტუდენტები ვთბებოდით,
ღუმელები გვედგა... ამ ყველაფერს იმ-
დენი ძვირფასი ისტორია ახლდა, ძა-
ლიან ბევრი. მე მიხარია, რომ დღეს
სტუდენტებს სრულიად სხვა ისტორი-
ები ექნებათ, მეტად ბედნიერი და სა-
სიამოვნო.

— როგორი საინტერესო მოსახმენია
მიზნისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი,
თუმცა, ამავე დროს, როგორი ვ ზის გავ-
ლის ისტორიები... რა არის ქალბატონი
მა, კა პერიძის წარმატების საიდუმლო?

- ଡଲ୍ଲେସାପୁ ମୁଗନ୍ଦିଆ, ରନ୍ଧା ଲୋ କାର ବାକ୍ଷେ-
ତ୍ତେବ୍ ପ୍ଯାରେଲାଟ୍ରେସ୍, ରନ୍ଧାନ୍ଧାପୁ ସାଫ୍ଟିରଣ୍ଟା。
ମତ୍ତେଲୀ ହିମ୍ବି ଉଚ୍ଚବ୍ରତ୍ତେବିଳି ଗାନ୍ଧାବ୍ୟଲନ୍ଦାଶୀ
ମେଘନ୍ଦା, ରନ୍ଧା ମିଥ୍ରେନ୍ଦ୍ରି ଆର ବିତ୍ତିନ୍, ରାମଦ୍ଵେ-
ନ୍ଦ୍ରିପୁ ସାଫ୍ଟିରଣ୍ଟା. ଲୋ ଆର ବାକ୍ଷେତ୍ତେବ୍, ରନ୍ଧାନ୍ଧାପୁ
ସାଫ୍ଟିରଣ୍ଟା ଦା ଅମିଳ ଗାମନ ଅଲମନ୍ଦିନ୍ଦା, ରନ୍ଧା
ଗାର୍ଜକ୍ଷେତ୍ରରୁ ନ୍ତାରମାତ୍ରେବେଳ୍ସ ମିର୍ବାଲନ୍ତିଙ୍ଗ୍. ରନ୍ଧା-
ଲୋସାପୁ ଦାଲୀଆ କ୍ରିତିକ୍ରିଯ୍ୟାଲ୍ଡାଏ ଗାବାନ୍ଦା-

ილიზე განვლილი გზა, იყორ ორი მთავარი ფაქტორი. პირველი — არასდროს ვარ კმაყოფილი საკუთარი თავით და სულ მინდა, რომ ვიყო უკეთესი. მეორე — ყოველთვის ვცდილობ, შევვეკითხო. ჩემთვის შეურაცხმყოფელი არაა ის ფაქტი, რომ ვაღიარო, როცა რაიმე არ ვიცა. ამ ორმა მთავარმა ფაქტორმა, ვფიქრობ, განაპირობა ყოველივე. წარმატებას თან ახლავს სანგრძლივი ფიქრი. როდე-საც რაიმე პრობლემაზე მიყვებან, მე ფიქრს ვიწყებ იმაზე, თუ სადაა აქ ჩემი ბრალეულობა, ვეძებ მუდამ ამას, რამე-თუ სხვისი შეცვლა არ შემიძლია, ჩემი თავის — დიას. თუ ამ გზას გადავხე-დავთ, სწორი არჩევანი არის წარმატების საიდუმლო! პროფესიის, ოჯახის პრიორიტეტების, მიზნისკენ მიმავალი გზის სწორად არჩევა. საკუთარ თავთან მართალი უნდა ვიყოთ, ვიპრძოლოთ საკუთარ თავთან. ეს შთაგვაგონებს და გვაძლიერებს.

— ამბობენ, „ნარმატება ერთჯერადი აალების შედეგად არ მოძის — საუკუთარ თავს მუდმივად ცეცხლი უნდა შეუნთო ხოლმე“. ძლიერ შთააგონებს თქვენი გულწრფელი საუბარი იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ფარმაციული დაყარესს, ვერ გახდნენ სტუდენტები ან გახდნენ, თუმცა, სწავლა ვეღარ გააგრძელებს. გაამხნევეთ ისინი სამი ჯადოსნური სიტყვით მოასახოთ: მი აძლიერ უწინვეტოს.

– მთავარი რამ, გეძებთ! უნივერსიტეტს პეტრ პეტრონდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი მართვის მიზანით.

მჯერა ამის, ჩვენ გვქონდა ისტორია, როდესაც აბიტურიენტმა ჩააბარა და არ გამოცხადდა, რეგისტრაციის დრო ინურება და ის დაკარგავს სტუდენტობას. ვერ ვიპოვეთ, ვერსად მივაგენით. მის შესახებ მხოლოდ გარკვეული მონაცემი გვქონდა, არც სახელი, არც გვარი... დახმარება ვთხოვთ პოლიციას. ეს ახ-ალგაზრდა ალმოჩნდა ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებელი. მან იცოდა, რომ ჩააბარა, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა, ჩამოსულიყო ახალციხეში. პოლიციის მანქანით ჩამოვიყვანეთ, დონორი ორგანიზცია მოვუძებნეთ, დავაფინანსეთ მისი სწავლა და შევცვალეთ ერთი ადამიანის ცხოვრება. ეს კიდევ ცოტა ადრე იყო. დღეს უფრო მარტივად შეიძლება ყველაფრის მოგვარება. სწავლაზე უარი არ თქვათ. გეტქე! მჭირდები! მიყვარხარ!... (ამ სიტყვებს თან ახლავს უთბილესი ლიმილი, რომელიც იმდებით მავსებს. რ. ს.)

- ეალიტობო ძაგა, ხატვრა, რომელ-
საც მუდამ გულით დაატარებთ.
- არ მინთა, ისა მოვკვთა, რომ ეპირ-

— Յու սոնդահ, ուզը սոյցքազդյ, որոս ցայլու-
տանեցնելու սայշարտազելոն զեր զնակոն.
արագյերն ս զնաթրոն մեղքի. մոյշեցազագ
օմուսա, րոմ, ամազյ ժրռոս, ხար գեդա,
Շվոլո, մյցօնձարո դա այս շեմցեց, յև
նագրու մյուծա մշուծա դամայէվս. ուզու,
պայլա ճշորդացասո ագամունոն կյուուլ-
դլեօնձասաց զալուսիսեմոնծ օցո, մատազո-
սաց մինճա ցայրտուանեցնելոն սայշարտազ-
լոն. դայ, հիմմա տաօնձամ աօլոս զպելա
գուրուրո ամ մինչնուսկյ մոմազալ շնաչյ
դա ցորդատո մաօնց ցայսօնօնոս աեալ-
ցաթրդեծ յոնցա. յև յրտացերտո նագրու-
րա մայէվս; պայլա դանարհենո, ամաստան
շեգարեծու, արոս ձալուան, ձալուան յու-
նովզնելոն.

- და ბოლოს, განათლება ეს არის ...

– ჩემთვის განათლება არის მეორედ
დაბადება და მაღლთან ზიარება. სხვა
სარ წიგნთან მისვლამდე, სხვა სარ გა-
ნათლებამდე. ეზიარები ამ ყველაფერს
და ხელმეორედ იბადები, აუცილებლად
– უკეთესი, ვიდრე იყავი. ყველა მომდევ-
ნო დიდი ეტაპი კიდევ ახალ სიცოცხლეს
გაძლევს. განათლების საშუალებით ერთ
ადამიანში ისეთმა ძალებმა შეიძლება
მოიყაროს თავი, მართლაც, დაუმარცხე-
ბელი გახდე. ეს არის უალტერნატივო.
მე მსურს, შევაქი ჩვენი ერო იმიტომ,
რომ მეეჭვება ისეთი სწრაფვა განათლე-
ბისეკნ, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, არ-
სებობდეს სადმე სხვაგან. მე ვიცი ისტო-
რიები, რომელთა მიხედვითაც ახალგაზ-
რდებს, უბრალოდ, სურვილიც კი არ
აქვთ, ჩააბარონ უნივერსიტეტში. ზოგი-
ერთ ძალიან განვითარებულ ქვეყანას
აქვს იგივე პრობლემა. მოქალაქე ფიქ-
რობს, რომ განათლება ყველაზე რთული
გზაა მიზნისეკნ სვლისას. ჩვენთან ასე
არა არის. ცოტა უკიდურესობაც კი მო-
დის ამ კუთხით, მაგრამ ჩვენი ქვეყანა
იმსახურებს იმას, რომ განათლების კარ-
გი სისტემა ჰქონდეს, იმსახურებს საუ-
კეთესო სასწავლო დანესებულებებს და,
ზოგადად, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ საუ-
კეთესოს იმსახურებს.

— ულომები თადღლია თითილი, ეროვნული, სამაგალითო და საინტერესო პასუხებისთვის.

ინტერვიუერი

ରାଜା ଶୁଦ୍ଧାପତ୍ର

ქართული ფილოლოგიის
სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი



გილოცავთ აღმოჩენის ბრწყინვალე დღესასწაულს

დავით გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისა“ მაცხოვრის ჯვარც-
მას და ღვთისმშობლის მიერ მის დატი-
რებას ასახავს. ღვთისმშობლის მიერ
ჯვარცმული ძის, ქალწული დედის მიერ
ლახვრით განგმირული ძის დატირება
და შვილმკვდარ დედათა მიმართ წარ-
მოთქმული გულში ჩამწვდომი სიტყვე-
ბი კაცობრიობის, შესაბამისად, ქართ-
ველი ერის სულიერი განწმენდისაკენ
მიმავალ გზას გვაუწყებს, რადგან
ჯვარცმა მთელი კაცობრიობის, ქრის-
ტემდე შობილთა და მის შემდეგ მომა-
ვალ ადამიანთა, სულიერი კათარზისი-
სათვის განხორციელდა. იგი ვოდების,
ცოდვის მონანიების, ვედრების გამოხა-
ტულებაა, გულში ჩამწვდომი ტკივილი-
ანი სიტყვებით წარმოთქმული ერთგვა-
რი მონოლოგი-აღსარებაა, რომლითაც
შეიძლება ახალი „მეს“, ახალი სულიერი
სამყაროს მოპოვება.

დავით გურამიშვილის მიერ ღვთისძ-
შობლის გლოვის ასახვა არა მხოლოდ
შვილის სიკვდილით გამოწვეული სიმ-
ნარის, ნუხილის მძაფრი განცდა, ამავე
დროს, ესაა ღვთისძშობლის თანაგრძ-
ნობისა და ნუგების მოლოდინით აღსავ-
სე მიმართვა შვილმკვდარი დედების
მიმართ, რომელთა შვილები მაცხოვრის
სიკვდილით უნდა აღდგნენ სულიერად
და სიკვდილი დათრგუნონ; მის მიერ
წარმოთქმული სიტყვები ადამიანთა
სულიერი ხსნისა და გადარჩენის იმე-
დით გამთბარი სიტყვებია.

მოდით, ყოველზო შვილმკვდარნო
დედანო, შეიყარენით!
შემწყნარებელი ან თქვენი მარიამ
შეიწყალენით,
ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც
ცრემლნი გარდოყარენით,
სულს ეცით მისგან ნუგეში, გულს
ჭირნი უკუყარენით.

დავით გურამიშვილი წუხილით, უდი-
დესი ტკივილიანი სიტყვებით გადმოს-
ცემს ღვთისმშობლის დედობრივ
გრძნობებსა და იშვიათ განცდებს, ძის,
მაცხოვრის აუტანელ ტანჯვას და ამით
გამოწვეულ ფიზიკურ და სულიერ ტკი-
ვილებს, ადამიანთა უმაღურობას, და-
უნდობლობას, უგუნწრობას, გოლგო-
თაზე ჯვარცმის, ნამების შედეგს, რაც
უდიდესი მოთმინებით დაითმინა იქსო
ქრისტემ, ძე ღმერთმა.

ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისის,
ლევთისა ცხებული,
ეკლის გვირგვინით მოსილი,
შიძველი, გაკიცხებული,
ჯვარზედა ხელ-ფეხს მიკრული,
გვერდსა ლაქვარიც ხებული,
აღთრთოლდა, ზარით დაეცა, გახდა
ვით დამარცხებულო.

ლექსში ჯვარცმის ამბავი და ამით
აღძრული განცდები გამომცემულია
პოეტურად, რეალისტურად, დრამატუ-
ლად. მასში შეზავებულია პოეტური და
ფსალმუნურ-პიმნოგრაფიული ტრადი-
ციები. პოეტი ღვთისმშობლის გლოვას,
მაცხოვრის ჯვარცმის, გარდამოსნის,
მკვდრეობით აღდგომის ტრაგიულ ამ-
ბებს, ქრისტიანობის სიბრძნესა და სუ-
ლის აღმასვლას ზეცისაკენ სიმბოლუ-
რად, მეტყველად გადმოგვცემს.

ଓতিস্থানে কুণ্ডলীস সিত্পুঁয়েরি শ্বেতলম্পকুড়া-
রি দেওয়া মনে দিয়ান গবান্ধুপদ্মসামাজ আসা-
সাক্ষী, রাধগুব মান ইসো কুরোস্তুস জগার-
চুমাশি কুচুপদ্মরূপোদিস বেনিসা দল সুলাই-
রি গুড়ারুবেন্দিস ইজেলি দাইনাচা, দে
লম্বেরতিস লুতাতেবরীবু মিসিসা গুচুপদ্মো-
রু। লুক্ষেশি লুতাস্থম্বুবেলি সাকুতাৰ
তাক্ষসাম দাস্তুরীস, রাধগুব দিস সি-
পুরুক্ষেল্লেশি মিস হিৰণ্যোলক্ষ্মৈ মিমুঝেৰ-
ডা দা দাপুলু ইপু, রাম দা঵িত গুৰু-
মিশ্বোলম্বা দেৱাশ্বেলুলোদিস মাফলিসা দল
সিৰুবুল গুৰুক্ষেল্লেবু নারমিগারিন্দা।

მაცხოვრის ჯვარცმით კაცობრიობის
სულიერი ხსნის, გადარჩენის, ბოროტე-
ბისა და ცოდვის უფსკრულიდან ამოყ-
ვანის გზა დასასხა. დავით გურამიშვი-
ლის ლექსის მიხედვით, ღვთისმშობელი
გოდებს მაცხოვრის გარდაცვალებს
გამო; სინამდვილეში ესაა თვით პოეტის

გოდება, გლოვა, რადგან იგი თავს
გრძნობს ცოდვილად. მისი რწმენით,
მაცხოვრის ჯვარუმა ყოველი ადამია-
ნის ცოდვად ალიქმება; გურამიშვილი
მაცხოვრის ჯვარუმის გამო თავადაა
ცოდვილი. ეს მხოლოდ ლიტურგიული
ცნობიერების მქონე ადამიანის განცდა
და გააზრებაა. ჯვარუმის განცდა და
ალქმა ლიტურგიული ცნობიერების
მქონე დავით გურამიშვილის პოეტურ
მემკვიდრეობაში მისტიკური საღვთის-
მეტყველო მოძღვრებისა, აზროვნების
დონეზემდეა აყვანილი.

დავით გურამიშვილის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსებში თვით

რა ესმა დედის ტირილი ძეს მიკრულს
ჯვარსა ზედაო
შეამუღაბნა მშობელი და მისკენ
მოიხედაო
გამოემდრახა, უბრძანა: ეჰა,
ნუ მტირი დედაო

გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე ამაზედ
თნევასა; მომკალ, წინანინ წავიდე, შენი^{ვახარო} ევასა;
იესო მოვა, დაგიხსნის, მორჩები
პირველს წყევასა! სოფელს უხარის, მიიღებს ან

განთავისუფლებასა.
ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის და-
ტირების ამსახველი სტრიქონები შვილ-
ეკვდარი დედის მონოლოგია, რომელ-
შიც ფიზიკურ ტკივილიან განცდასთან
ერთად მაცხოვრის ერთადერთობა და
მისი ჩამომავლობის სიდიადეც შეიგრძ-
ობა – „ვით შტოზედ მორჩი ახალო,
ჯვეს-არსოანი ძირო და!“ ღვთისმშობ-
ლის სიტყვებში ქრისტიანობის არსია
ახსნილი, ქრისტე წარმოდგენილია სა-
მოთხის კარის გამღებად, კაცობრიობის
უუღიერ განმანათლებლად, მხსნელად,
განმეორებად, ქრისტეს დატირება გან-
მენდის გზაა, დავით გურამიშვილიც,
როგორც პიროვნება და როგორც კა-
ცობრიობის ნაწილი, ჯვარცმული
ღვთის დატირებით განმეორდის გზაზე
მდგარი ადამიანია, რომლის უპირველე-
სი მიზანი ღმერთთან მიახლებაა, განლ-
მრთობაა. ის, რასაც ღვთისმშობლის
ტირილში გადმოსცემს პოეტი, მისი პი-
როვნული დამოკიდებულებაა სამყა-
როს აღსაქმელად, კაცობრიობის არსე-
ბობის აზრის დასანახად.

შვილმკვდარი დედის განცდა, გული-
წან ამოსული ტკივილიანი გოგება იშ-
ვიათი რეალურობით ცხადდება მყითხ-
ველის წინაშე, როდესაც გურამიშვილი
ვადმოსცემს ღვთისმშობლის შინაგან
აამყაროს, სულიერ მდგომარეობას,
უნუგეშოდ დარჩენილი გულდადაგული
ფედის სიტყვებს:

მოედვა მნარედ სახმილი, შეიქმნა
დადაგულობით,
დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევნი
გათანგულობით.
თქვა: დამეკარგა სანუტრო
ჭირნახულ დაკარგულობით,
დამიტკნა გულის ყვავილი, გავხდი
ვით გალი რგულობით.
იცემდა მკერდსა და გულსა,
იტყვებდა, ესრეთ ტიროლა...
ვირემ შენს ჩრდილთა ქვეშ ვიჯექ,
მე თავი არ მემნიროდა,
ახლაც გვედივარ, უშენოდ
არ შეიძმინა, არ ა მწირო ა.

არ ქეთქება, არ გაძხიორო და.
ღვთასმშობლის მოთქმა-ტირილი
ერთდღრულად გამოხატავს სულიერ
ღვთისმოსავობას, სულიერ სიდიადეს,
კაცობრიობის სულიერი განახლების
წნევანას, დედაშვილურ ურთიერთობასა
და სიყვარულს, მაცხოვრისაგან დედის
მფარველობას და დედის მხრიდან
მფარველის დაკარგვის ტკივილიან გან-
უდას. მაცხოვარი ღვთისმშობლის მიერ
აიმბოლური სახელებით არის მოხსენი-
ებული: მზეთა მზის სხივი, თვალთა ნა-
თელი, ბნელი გზის მნათობი, სამოთხის
კარის რაზის გამდები, სახით ნორჩი,
პაყოფით ძირ-კეთილი, ვაზის შრტო,
მტოზე ახალი მორჩი, გამარკვეველი,
გამწერნდი, რომლებიც მისი მოვლინე-
ბის არსა და მისიას მიუთითებენ.

დავით გურამიშვილის ლექსში შედა-
რებით ნათლად წარმოჩნდება სიმბო-
ლურად გააზრებული ღვთისმშობლის
აატ-სახე, რომელიც კაცობრიობის
კოდგვათა გამოსყიდვის სათავეებთან
დგას, როგორც ღვთის მშობელი. საგა-
ლობლები უფრო მძაფრ სულიერ განც-
დას, სულიერ ტევილებს ამჟალავნებს,
პოეტს ფიზიკურ ტკივილამდე მიჰყავს
ღვთისმშობლის ტანკევა, საგალობლებ-
ში ღვთისმშობლის ხატ-სახე არა პი-
როვნულ ტრაგედიას, არამედ კაცობ-
რიობის ტრაგედიას, კაცობრიობის სუ-
ლიერ განცდებს აქცევს განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას. საგალობლელი
მაცხოვრის მიცვალების ზებუნებრივ
უურათს ზოგადკაცობრიულ მნიშვნე-
ლობას ანიჭებს, რაც დავით გურამიშ-
ვილის ლექსში დედის განცდათა ჩვენე-
ბასაა შერწყმული.

დავით გურამიშვილის „ტირილი ლვისის მოგლისა“

ნესტან სულავა



= ଶର୍ମାପାତ୍ର =

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი მაღალყოვლადფუსამღ-
ვდელოვას, ახალციხისა და ტაო-
კლარჯეთის მიტროპოლიტ მეუჟე თე-
ოდორეს (ჭუაძე), უნივერსიტეტის სა-
პატიო დოქტორს, ულოცავს დაბადე-
ბის დღეს!

ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და
მხნეობას, ერისა და ეკლესიის საკეთილ-
დღეოდ.

თქვენი სიცოცხლე, მრავალუამიერ!



მონაზვები აღდგომისთვის განსაკუთრებით ემზადებიან

„სიყვარულით დაძლე-
ული სიკვდილი და ბრწყინვალე აღდ-
გომა. გაინტერესებთ, რა არის სამყა-
როში ყველაზე დიდებული? ვერა-
ფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ მე
და თქვენ ლმერთმა ტანჯვამდე,
ცრემლებამდე შეგვიყვარა, ჯვარც-
მულმა დასთრგუნა სიკვდილი და ადა-
მიანს დაუბრუნა გზა ღვთისკენ მი-
სასვლელი. განა, სასწაული არ არის?
არა, ბევრად მეტია, ვიდრე სასწაუ-
ლი...” ასეთი თანამიმდევრობით ჩამრ-
ჩა მექსიერებაში ერთ-ერთი მონაზო-
ნის საუბრიდან სიტყვათა წყობა...
ჰყითხეთ ნებისმიერ მონაზონს, რას
ნიშანავს აღდგომა მისთვის და დამერ-
წმუნეთ, შეუძლებელია, გიპასუხოთ
სხვაგვარად.

პატივი მერგოვ, მექილა პიროვნებები, რომლებიც ისე გამოხატავენ სიყვარულს, როგორც არავინ სხვა და ისეთი სიყვარულით პბაძავენ შემოქმედს, თითქოს მათთვის აღარაფერს ნიშნავს შინაგანი მტანჯველი გზა გოლგოთისა-კენ. მონაზვნები, რომლებიც წლების მანძილზე იცავენ ტაძრებს სამცხე-ჯავახეთში, აღდგომისათვის განსაკუთრებულად ემზადებიან. დაახლოებით ორმოცდაათდღიანი დიდმარხება, რომლის ხორციელად დაცვაც სხვათათვის რთულია, მონასტერში ყველაზე უფრო იოლად დასაძლევი აღმოჩნდა. როგორც თავადაც ყოველთვის ამბობენ, ურთულესი ამოცანა საკუთარი ცნობიერის დათრგუნვა და ყურადღების მოკრებაა, თუმცა, ადამიანის ცხოვრებაც სწორედ სინანულისა და გამოსწორების გზაა.

განსაკუთრებულად მძიმეა დიდ-
მარხვის ბოლო კვირა, იგივე ვნების
შვიდეული, რომელიც ცხადად გვახსე-
ნებს ქრისტეს გაცემასა და ყოვლად
უარესს – ჯვარცმას. ამ პერიოდში მო-
ნასტრის ნაწილი უქმაცრეს მარხვას
იცავს, რაშიც მხოლოდ პური და წყალი
იგულისხმება. დარჩენილნი ამ გზას
მხოლოდ წითელ პარასკევს, ქრისტეს
ჯვარცმის დღეს მიმართავენ. კვირის
განმავლობაში, ორშაბათს, სამშაბათს
და ოთხშაბათს მონასტერში, ისევე,
როგორც ყოველ ტაძარში, სრულდება
წირვა პირველშეწირულთა ძლვენთა.
ამ სამი დღის მანძილზე სახარება
ოთხთავი სრულად იყითხება. ხუთშა-
ბათს, აგრეთვე, იმართება ლიტურ-
გიაა, პარასკევი კი, ყველაზე მძიმე

დღე, ქრისტიანული სამყაროსათვის, დიდი დატირებითა და გაძლიერებული ლოცვით სრულდება. მონასტერში ვწების შვიდეული კიდევ უფრო მეტი ლოცვისა და მძიმე მარხვის კვირაა, სულიერი წნების დაძლევისა და აღდგომისაკენ სწრაფვის. თუმცა, შეუძლებელია ვფიქრობდეთ, რომ მონასტერი ბრწყინვალე აღდგომის აღსანიშნავათ არ გმიზაობა!

რა თქმა უნდა, ცხვება პასკები, ნი-
თელ პარასკევს აუცილებლად წითლ-
დება კვერცხი და მთელი მონასტერი
შრომობს, რათა ღირსეულად დახვ-
დეს აღდგომის დღესასწაულს. შა-
ბათს საღამოდან დამისთევით ლო-
ცულობენ, დიდი სიყვარულითა და
უფრო მეტი ენერგიით, დილით კი
იღებენ უამრავ სტუმარს ტრაპეზზე.
კვირას დილით სამეუფერ ეკლესიის
ყოველი მგალობელი მონასტერშია,
ზოგი დედებს ეხმარება, ზოგი კი გან-
საკუთრებული, ტკბილი ხმით გა-
ლობს სააღდგომო საგალობლებს.
ტრაპეზი ყოველთვის მშვიდი, პარმო-
ნიული და მხიარულია, რადგან, დამე-
თანხმებით, აღდგომას ბედნიერება
შეშვენის. ქრისტესთვის მიმსგავსება
და ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის
დათმენა ყოველთვისაა აღდგომის
საწინდარი, ეს ყოველივე კი ბრწყინ-
ვალე განწყობას ქმნის მონასტერში,
თუმცა, არც ერთი წამით უნდა ვი-
ფიქროთ, რომ მონაზვნებმა ნაყროვა-
ნების, სიამოვნების უფლება მისცეს
საკუთარ თავს; მათი სულიერება
ნამდვილად გაგაკვირვებთ, რადგან
შეუძლებელია, უყურებდე ბედნიერ,
გაძლიერებულად მღლოცველ სათხო
ადამიანებს და აღფრთოვანება არ
გეუფლებოდეს. ჩემთვის პატივი, პა-
ტივზე უფრო მეტია – ცხოვრობდე
ქალაქში ასეთი პიროვნებების გვერ-
დით და შემეძლოს, პირადად ვიზილ
აყვალით, რაც მონასტერში ხოდა

ყოველივე, ააც ძოხ
დიდებული დღეა!
აოთაომია!

ცნობები ქართული გალოგის შასახებ

କାରତ୍ୟୁଣୀ ଗାଲ୍ପନକ ହେବନ୍ତି ଏରିବୁ, କ୍ରିଶ୍ଚାନ୍ଦୁ
ତ୍ରିବାନ୍ଧୁଲୋ ସାମ୍ପରାର୍କ ଶୈୟତାଙ୍କୁ ଦେଖିଲୁ ସାଜ୍ଞ
ଜ୍ଞାନୀ ଗାଲ୍ପନକିଲୁ ସାକ୍ଷିତ୍ୟେବ୍ଦିତ୍ତ ସାଜ୍ଞବନ୍ଦିଲୁ ସି-
ତାମାମିଶ୍ର ମାଦଳ୍ପୁରୀ ସାକ୍ଷିତ୍ୟାରୀ ଘମିନ୍ଦିଲ୍ଲା
ଲ୍ଲେବା ଆରାଶଫର୍କ ନାରମମେଡିଫି଩ା, ରନ୍ଧି
ମ୍ବଗାଲ୍ପନ୍ଦେଲ୍ଲୀ ବୀଜ୍ଞବ୍ରଦ୍ଧି, ତୁମ୍ପିଆ, ଶେମତ୍କ-
ପ୍ରେତ ଆରାଟ୍ୟେରୀ କେବ୍ଦିବା ଉତ୍ତାଳି ତିତିନ୍ଦ୍ର-
ଶ୍ରୀ ଅଦାମିନାନ୍ଦ ଆଜ୍ୟବନ୍ଦିଶ ତାଙ୍କୁ ମିଲିବାଲା
ଏବଂ ମୋହାଲ୍ଲେବନ୍ଦାବୁ, ଅମିତ୍ରମାତ୍ର ଗାଢାବନ୍ଦ୍ୟପି-
ତ୍ରୀ, ମର୍ମେନ୍ଦନଦେବିନା ବ୍ରନ୍ଦନଦେବ କାରତ୍ୟୁଣୀ
ଗାଲ୍ପନକି ବ୍ସତିରାନୀବା ଏବଂ ମିଳି ମନୀଶ୍ଵର-
ଲ୍ଲୋଦିଶ ଶେଷାକ୍ଷେତ୍ର, ବ୍ୟାକ୍ରମିତ୍ତିର୍ଥ,
ସାକ୍ଷିତ୍ତି ବ୍ୟାପାରାତ୍ମକିତ୍ତିର୍ଥ ମନୀଶ୍ଵରବ୍ୟାପାରାନୀ,
ରାଧଗାନ୍ କାରତ୍ୟୁଣୀ ଗାଲ୍ପନକ ହେବନ୍ତି ଏରିବୁ
ଶୈୟତାଙ୍କୁ ଦେଖିଲୁ ମେମିକ୍ଷିତିର୍ଥବନ୍ଦାବୁ.

ქართული გალობა ვითარდებოდა
დღოთა განმავლობაში და ქრისტიანო-
ბის შემოსვლასთან ერთად მკვიდრდე-
ბოდა ყველა მორჩმუნის ოჯახში. სამე-
ბის, მამაღმერთის, სულინწმინდისა და
ქელმერთის მადლით ქართული გალო-
ბა სამხმიანია, განსხვავებით ევროპუ-
ლი პოლიფონისაგან, რაც გამოარჩევა
და დიდებულს ხდის ქართველი ერის
კულტურას. პალესტინა, სინას მთა,
ათონი, იერუსალიმი – ეს ის მნიშვნე-
ლოვანი ცენტრებია, სადაც ჩაეყარა
საფუძველი ქრისტიანულ გალობას.
მათ შორის გამოირჩეოდა საბა განმნი-
მენდელის ლავრა. სწორედ საბანმინ-
დის სავანეში, VII საუკუნში ჩაეყარა სა-
ფუძველი ქართულ ჰიმნოგრაფიას.

თავდაპირველად, იგი ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნებით იყო წარმოდგენილი, რომელმაც თავი მოიყარა უძველეს ქართულ ძეგლებსა და ლექციონარებში. ჩვენამდე შემორჩენილია ლექციონარის უძველესი რედაქციის რამდენიმე ნუსხა, როგორიცაა: კალის, ლატალის, პარიზისა და სინური ნუსხები, რომელშიც ასახულია იერუსალიმის ლიტურგიკული პრატიკა V საუკუნიდან X საუკუნემდე. ლექციონარებში უკვე ჩანს ჰიმნოგრაფიული გალობის შესრულების სამა ძირითადი სახე: რესპონსული, ანტიფონური და ცალპირული. ლექციონერების საფუძველზე შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული იაღვარი, რომელშიც თავს იყრიდა მთელი წლის მანძილზე შესასრულებელი საგალობლები.

ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდგომი აღმავლობა დაკავშირებულია ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკოლებთან, რომელიც წინამძღვრი გახსნდათ ტაო-კლარჯეთის უდაბნოს განმანათლებელი, „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“ მამა გრიგოლ სანდოელი. მამა გრიგოლს, სულინწმინდის მადლით, თავად შეუთხზავს საგალობელთა სრული კრებული და დაუდგენია „სანელინდო იადგარი“, რომელ მაც დასაბამი მისცა ქართული გალობის განვითარებას; იგი აღმავლობის პრეზნაციალებას აღწევს X საუკუნეში. აღსანიშნავია ამ პერიოდში გამოჩენილი მოღვაწეები: იოანე მინჩხი, იოანე მტებევარი, მიქაელ მოდრევილი, სტეფანე სანანოსძე და სხვა მრავალი. ამ პერიოდში იქმნება დიდი იადგრები, იხ-

კენება და ფორმირდება საგალობლები
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია
მესხური დიდი იადგრები. მესხური
იადგრები შეიცავს გალობის უძველე
ნიშნებს. მესხურ იადგარებს შორის გა
მოირჩევა მიქაელ მოდრეკილის კრე-
ბული „სანელინდო იადგარი“, რომელ
შიც თავმოყრილია მანამდე არსებული
ჰიმნოვრაზეოული მიმ კიორუობა.

ლო. ამავე საუკუნეში აღსანიშნავია პეტრიწონის მონასტერი, რომლის ღი-ტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელია ოთანე პეტრიწი. მის სახელთანაა დაკავშირებული ცნობა ქართული მუსიკის მრავალხმიანობის შესახებ. პეტრიწის მიერ დანახული სამხმიანობა ქრისტიანული სამების მუსიკალური ანალოგია. ოთანე პეტრი-წი შემდეგ მოღვაწეობას აგრძელებს გელათის მონასტერში, რომელიც, XII-XX საუკუნის ჩათვლით, ქართული სა-ეკლესიო გალობის მთავარ კერას წარ-მოადგენდა.

XIII-XVI საუკუნეებში, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის შედეგად, ქართული გალობის ხელოვნება დაცემამდე მიღის. გაძარცვული ტაძრები, დანგრეული ეკლესია-მონასტრები და დევნილი სასულიერო პირები. ღვთის მადლით გადარჩენილი გალობა, რომელიც მხოლოდ განაპირა ეკლესიებში შენარჩუნდა.

მიუხედავად დიდი მტრობისა, ქართ-
ველი ერი ყოველთვის აფასებდა
ღვთისგან ბოძებულ ჯილდოს და მას
სათანადოდ მალავდა. გალობის განვი-
თარების პროცესი ბუნებრივად, ძალი-
ან წელა, მავრამ მაინც მიმდინარეობ-
და. ამაზე მიუთითებს ჩვენამდე მოლ-
წეული XVII-XVIII საუკუნით დათარი-
ღებული ჰიმნოგრაფიული კრებული
„სადღესასწაულოდ წოდებული“. ამ ჰე-
რიოდისთვის გალობის განვითარებაში
განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გა-
რეჯის მონასტრები. ისტორიული ცნო-
ბების მიხედვით აქ ყოფილა სამგა-
ლობლო სკოლა.

XVIII საუკუნის დასასრულს გალო-

XVIII საცეკვისით დაცავისას, უკან მომდევნობილ გვ. ბის აღგენერა-აღორძინება ერევლე II-ზ ითავა. ამ მიზნით ჩამოყალიბდა სვეტიცხოვლის სამგალობლი სკოლა. ქართული გალობის აღორძინების ეს პერიოდთ ხანმზრ კლა აღმოჩნდა.

საძიროოება. 1921 ხლიდას ქართულ გალობას კიდევ ერთი საფრთხე და-კისრა, კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის სახით. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ძველი ქართული გალობა დაკარგულად გამოცხადდა, თუმცა, ქართველი ერი დაკარგულ მემკვიდრეობას ყველგან ეძებდა. 1978 წლიდას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილა II-ის თაოსნობით ეკკლესიებში აუდერდა სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ შექმნილი საგალობლები და ძველი ქართული კონცერტები.

ლი ტრადიციული გალობის ნიმუშები.
საბოლოოდ, ქართული გალობის აღორძინება XX საუკუნიდან იწყება და გრძელდება დღემდე. ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში დღე-საც გაისმის ქართული ტრადიციული გალობა. უფლის ნებით და წყალობით, ჩვენამდე მოღწეულია უძველესი ქართული გალობის ორიგინალური ნიმუშები, რომელსაც უკვე საზღვარგარეთაც იცნობენ. ქართული გალობის მოსმენისას გრძნობა, იმ სითბოს და მონინებას, რომელსაც ჩვენი წინაპრები უფლის მიმართ გამოხატავდნენ. უფლისთვის მხოლოდ საუკეთესო რომელიმეტება, აქედანაც დასტურდება.

გალობის მნიშვნელობა ყველამ რომ
იცოდეს, მთელი საქართველო მგალო-
ბელი იქნებოდა.

0700 გალახები
ქართული
ფილოლოგიის
სპეციალობის
I კურსის
სტუდენტი

